806 ხუთშაბათი, 29 აპრილი 1896—1899 ხუთშაბათი, 29 აპრილი. № 806

ტამბა და რედაქცია
ლისი, სასახლის ქ.,
.-აზნაურთ ქარვასლა
ამწერნი გაზეთის დახვედ-
ამართავენ რედაქციის დილის
საათამდე და საღამოს 6—9
ქ. სხ." წიგნის მაღაზიას.
მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
პირ მოლაპარაკება რედაქ-
თან შეიძლება ყოველ დღე.
ელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირს 4 მან.

სახალხო თეატრი
(ნიკიტინის ცირკი)
შაბათს, 29 აპრილს, ქართული სცენის არტისტებისაგან, წარმოდგენილი იქნება:
I
გაიყუში
კომ. 2 მოქმედ. ავ. ცაგარლისა
II
ადამ და ევა
კომ. 2 მოქმ. დ მესხისა.
მონაწილეობენ: ქქ. რჩეულოვისა, საყვარელიძისა, წერეთლისა;
ემო, ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, შველიძე, კანდელაკი,
არიძე, ურუშაძე და სხვ.
ადგილების ფასი 10 კაპეიკიდან 1 მანეთამდე.
ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი
რეჟისორი ა. ადამძე, გამგე ზ. საფაროვი.

ტელეფონი 648.
ორთქლით მომუშავე სტამბა
ექვთიმე ი. ხელძისა
ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).
ტელეფონი 648.
სტამბა

ტამბამ ახლად მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე
ავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი
ატიური აპარატებით.
მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი,
(ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.
მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.
კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ად-
ბრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს,
კებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბა-
რათებს და სხვ. და სხვ.
საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ-
. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ
флисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—24)

ურნალო და ამბულატორია
თოფურიასი
ქუთაისში.
ნალოში 50 საწოლია ავად-
თათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ანაგანისა, ნერვებისა, საქირურ-
გიისა და დედათა ავადმყო-
ფობისასა.
მდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ხ. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. ვერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ძ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ხ. ბ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ

„შუამავალი"
ამხანაგობის მაღაზია გადა-
დის თამამშევის ქარვასლა-
ში პუშკინის სკვერის წინ.

ახალი ამბავი

⁂ ახლად დანიშნული გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი ჩამოვიდა ტფილისს ამ თვის 26 და მეორე დღეს ჩაიბარა საქმე და შეუდგა თანამდებობის აღსრულებას; დღეს 29 აპრილს მიიღებს საგუბერნიო მმართველობის ყველა თანამდებობის პირთ, ხოლო ხვალ თავის სახლში პირველ საათიდან სამ საათამდე. გუბერნატორი ამ ჟამად სდგას გუდოვიჩის ქუჩაზე სახლი № 2.

⁂ ყოვლად სამღვდელო ფლაბიანი გუშინ წინ გაემგზავრა ქ. ქუთაისში, საიდამაც 30 აპრილს წაბრძანდება ქ. ფოთში, სადაც თურმე დიდის აღტაცებით მოელიან მხცოვან მწყემსთ მთავარს. ფოთში ყოვლად სამღვდელო სამიოდე დღე დარჩება და მერე გაემგზავრება ბათომს და იქიდან უკანვე ჩამობრძანდება ტფილისში.

⁂ კავკასიის ოლქის მზრუნველი ქუთაისში გამგზავრებულა გუშინ წინ სასწავლებელთა სარევიზიოდ.

⁂ ისევ ბათომის ნავთ სადგურზე. მკითხველებმა იციან, რომ ბათომის ნავთ-სადგური ამ ჟამად ვაჭრული ხასიათისაა, ხოლო მთავრობას იმავ სადგურში სურს სამხედრო ჯავშნიანი გემები დააყენოს, ამ კითხვათა განსახილველად არჩეულია კომისია საშინაო და სამხედრო სამინისტროთა წარმომადგენელთაგან, პირველ უწყებისაგან დანიშნულია ბ-ნი მიცკევიჩი, ხოლო სამხედრო უწყებისაგან პოლკოვნიკი უელტოკი

⁂ სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქი. კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ აპრილის 2 გარდაცვლილა სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქი აზარიანი.

აზარიანი სომეხ-კათოლიკეთა შორის იყო დიდად პატივცემული, იგი იყო ნამდვილი სომხის პატრიოტი, ნამდვილი მოღვაწე თავის მოვალეობის, ხოლო სომეხთაგან დაწყებულ ბრძოლაში კი მონაწილეობას არ იღებდა, საზოგადოთ ეს კათოლიკებს ყოველთვის აფრთხილებდა, რომ მათ საგმირო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამის მიზეზი იყო, რომ სომეხთა მოძრაობაში კათოლიკენი მცირედ იღებდნენ მონაწილეობას. პატრიარქს პატივსცემდა თვით ოსმალეთის მთავრობაც, იგი ერთგულებისთვის დაჯილდოვებულ იქმნა მრავალჯერ.

აზარიანის გამგეობასთან მკაცრათ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ქართველ-კათოლიკეთა ცხოვრების პირობები, მეტადრე გვაროვნობის მხრით ეკკლესიის ტიპიკონით, ენით და ბევრიც კიდევ სხვა ღირსშესანიშნავის მხარეებით.

⁂ საინტერესო მოგზაურობა. ამ დღეებში, ბ. ზ. ჭიჭინაძე მიემგზავრება ახალციხეს და მასთან ზოგიერთ სხვა და სხვა კუთხეების ქართველ-კათოლიკებთ ეკკლესიების წიგნთ საცავების გასაცნობათ.

დიდი ხანია რაც ცნობები ისმის, რომ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიებში ბევრი რამ ღირს შესანიშნავი მასალები მოიპოვებიან ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ. მასალებში მოიპოვება პაპების კონდაკები, ბულლები და სხვა და სხვა წერილები მეფეებთან მოწერილი და აგრეთვე მეფეებისაგან მათთან მიწერილი.

იმედია, რომ ადგილობრივ შესმენილ მცხოვრებთაგანნი ბ. ზ. ჭიჭინაძეს დახმარებას აღმოუჩენენ და ცნობების გაცნობის მხრით

დახმარებას მით უფრო აღმოუჩენენ, რადგანაც ამ პირმა დასწერა ისტორია ქართველ კათოლიკებისა XI საუკ. XVIII საუკუნის დასასრულამდე.

აღწერაში მოთავსებულია შემდეგი კითხვები: 1, ქართველ გვარის კათოლიკენი რა დროდან სჩანან საქართველოში, ტფილისში როდის დაარსდა საეპისკოპოზო კათედრა, ეპისკოპოზნი, პაპის ბულლები, ქართველ მეფეებთან წერილების მიწერ მოწერა.

XVII საუკ. რომში ქართული სტამბის დაარსება, იქ ქართული წიგნების ბეჭდვა, პროპაგანდაში ქართული ენის დაარსება, ქართული ენის პროფესორ-პატრები. XVIII საუკ. ლათინთ სამღვდელოება, მათგან დაარსებული სასწავლებლები, აფთიაქები, საგლახაკოები და ნამეტურ ქართველ გვარის კათოლიკეთა ცნობა და შეწყნარება რომის სამღვდელოებისაგან.

ისტორიას დაუკავშირდება ახალციხეში მოპოვებული ცნობები და დროზე ცალკე წიგნათაც გამოიცემა.

ამიტომ სანატრელია, რომ ესეთი აღწერა რაც შეიძლება მდიდარი იყოს ცნობების მხრით, რადგანაც ასეთ კითხვებთა მასალები ჩვენში ერთობ მიჰრქალებულია, დაბნეულებულია თითქმის ყველა ფერი, რაისა გამო ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობასაც უარს ჰყოფენ მრავალნი და თამამად ბრძანებენ, რომ საქართველოში ქართველ გვარის კათოლიკენი არ არიანო.

⁂ **ქ. გორი. კვირაცხოვლობის დღეობა.** ქ. გორში დიდი ამბავი იყო კვირაცხოვლობას. რაც ახლო-მახლო სოფლები აქვს შემოზღუდული ამ ქალაქს, იქაური გლეხები სულ გორში ჩამოვიდნენ დღეობის საცქერათ, საქეიფოთ და ჩვეულებრივ საჭიდაოთ.. გარეთ-უბნის იქით მოედანზედ, მოშორებით სომხების ეკკლესიისა, დილის 11 საათი იქნებოდა, რომ ჭიდაობა გამართეს გორელებმა, მთელმა ერმა, იქ მოიყარა თავი დიდმა თუ პატარამ. ზურნა-დაფი არ იკვროდა, ჭიდაობა კი ჰქონდათ გამართული. ჭიდაობაში მონაწილეობას იღებდნენ ჯარის კაცები და გორელები (ამათთან სოფლელებიც სდებდნენ თავსა). ჭიდაობის დროს არეულობა, ჩხუბი და დავიდარაბა მოხდა, ჯერ ჯარის კაცებისა და გორელ კინტოებს შორის და შემდეგ იმ პირთა, რომელთაც ჩერქეზულათ ჩაეცვათ, კალმუხის ქუდი დაეხურათ, ტლანქი ხანჯალი ჩამოეკონწიალებინათ და სახრეები დაეჭირათ ხალხის განზედ დასაყენებლად. პატიოსან კაცს ვიღა არჩევდა, ვისაც სახრე ან მათრახი ეჭირა, გამომთვრალ ხალხისთვის ყველა ერთი იყო...

სალამო ჟამზედ ქალების ლხინი გაიმართა, არც იქ იყო პატიოსნობა, არეულობა და ჩხუბიც არც იქ იყო მიყუჩებული. სალამოს ჯარისკაცებმა ფერხული ჩააბეს და თამაში გააჩინეს, ამით მთელმა ერმა ისიამოვნა და მთელ დღეობას ეს ამჯობინა, რადგანაც ჭიდაობის დროს ჩხუბი და დავიდარაბა ხდებოდა ..—გამარჯვება ჭიდაობაში ჯარის კაცებს დარჩათ და ამით უფრო ღელდებოდა ხალხი, რომ ჯარისკაცთაგან არავინ არ წაქცეულა და გორელები პანტასავით ეცემოდნენ ძირსა...

— 15 მანათიანის ქურდი. ოსმა, რომელმაც მოიპარა და ჩაყლაპა თხუთმეტ მანათიანი ოქრო, ექიმებმა წამლების საშვალებით მოარჩინეს, ზეთი ასვეს და შემდეგ როგორც იყო ფული ისე მოაშორეს მუცლიდგან. ქურდს არაფერი ვნება არ მისცემია ოღონდ ძალზედ მისუსტდა, ბოქაულმა დააპატიმრებინა ქურდი, ხოლო პატრონს თავისი 15 მან. დაუბრუნდა.

კ. ფრონის-პირელი

⁂ **ქ. ბათომი. ბურთაობა.** კვირაცხოვლობას ჩვეულებრივი ბურთაობა იყო ბათომში, მეგრელებსა დ გურულებს შუა. ბურთაობა დიდს და განიერ მინდორზე იყო ქ. ბათომიდან სამნახევარ ვერსის მანძილზე დასავლეთის მხრით კახაბერში, ქალაქის გარეთ, სადაც დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა, ზოგნი მოთამაშენი და ზოგნი კიდევ მაყურებელნი ბურთაობისა; დიდსა და გაშლილ მინდორზე გადაჭრელებული იყო დიდძალი ხალხი, სამი საათიდან და მოკიდებულ სალამოს შვიდ საათ-ნახევრამდე.

დიდ უზარმაზარ ბურთს დაატარებდნენ სამი საათიდან ხუთის ნახევრამდე და ხუთის ნახევარზე ჩააბარეს ერთ პატიოსან პირს, რომელმაც ეს ბურთი წაიღო თავის ხელით და გადააგორა დანიშნულ ლელოს შუაგულზე და თან მიაკიჟინა: „არიქა ყმაწვილებო ვაშა ვაშაო, ლელო დასავლელით მეგრელებისა და ხონელებისაო და აღმოსავლეთით გურულების, თათრების და სომხებისაო!“

შეიქნა ყიჟინა, ვაშას ძახილი და წაიღეს პირველად მეგრელებმა თავიანთ ლელოსაკენ და თითქმის ლელოზე მიიტანეს, მაგრამ ჩარხი უკუღმა დატრიალდა. გურულებმა იბრუნეს ბურთი თავიანთ ლელოსკენ და მიაყიჟინეს—არიქა, ყმაწვილებო ვაშა და გამარჯვება ჩვენსკენაო! მაგრამ დახე იღბალს, ბურთი ისევ მეგრელებმა გადმოიტანეს თავის მხრისაკენ, მაგრამ ამ დროს ბურთი გადავარდა პატარა მდინარეში, სადაც არშინის სიმაღლეზე წყალი იდგა, თქვენც არ მომიკვდეთ, წყალმა არც ერთი მხარე არ შეაშინა. მაშინათვე ჩაცვივდნენ გურულები და მეგრელები და გაიმართა ბრძოლა წყალზე. მთელი ერთი საათი ბურთი წყალში იყო, ბოლოს ისევ მეგრელებმა იგდეს ბურთი და გასწიეს ლელოსაკენ და მართლაც გაიმარჯვეს, წაიღეს ბურთი თავიანთ ლელოსკენ და მერე ზღვაში ჩააგდეს. ვაშა, ვაშაო! ბურთის თამაშმა გასტანა მთელი სამი საათი მეტი და არა ნაკლები.

ასე და ამნაირათ გურულები და მეგრელები ერთობ მხიარულათ, მურათ და თავიანთის მკვირცხლის სიმღერებით, თამაშით, ცეკვით და დამბაჩების სროლით წამოვიდნენ ლელოდან და სახლებში დაიშალნენ.

ყარამან.

⁂ **დ. ორპირი კაცის დახრჩობა.** ოთხშაბათს 21 აპრილს, დ. ორპირში შემდეგი უბედურება მოხდა; ხსენებულ დაბას ჩამოუდის მდ. რიონი, რომელშიაც გადის ბორანი, რომლის პატრონიც არის სვიმონ ხაბუიშვილი. მას იქ ჰყავდა თავის თვრამეტი წლის ვაჟი ნიზარბეგ, რომლისათვისაც ეთქვა: მე შინ წავალ სადილის საჭმელად და მინამ მოვალ ბორანს ყური უგდეო. მაგრამ სამწუხაროდ, საქმე სხვანაირად დატრიალდა, როცა საბრალო ნიჩაბს უქნევდა, იმ დროს ნიჩაფი სილაში ჩაფლულიყო და მოქნევის დროს ხელი ასცდენოდა მაზე და მდ. რიონში გადავარდნილიყო და ორი ვერსის მოშორებით წაეღო. ბოლოს დიდის ვაი-ვაგლახით დამხრჩვალის გვამი იპოვეს ანკესით. ის პატრონს იმის მეტი არა გააჩნდა რა და ისიც წყალმა იმსხვერპლა.

სახალხო ჰიგიენა

საუბარი ჯანმრთელობის შესახებ

(რუსულიდან)

ჰაერის შესახებ *).

I ნიადაგის სტალახება. ყოველნაირ ნიადაგში არსებობს ჰაერი; თუ ნიადაგში ბევრი უწმინდურებაა, მაშინ ნიადაგის ჰაერიც ივსება უწმინდურობით და როცა მაღლა ადის საზოგადოდ აფუჭებს ჰაერს, რომელიც ჩვენ გარს გვახვევია და რომლითაც ვსუნთქავთ. ჰაერი, რომელიც შედგება ამგვარ გახსნილი ნივთიერებისაგან, ძლიერ მავნებელია და ბევრნაირ ავადმყოფობის მიზეზადაცა ხდება. ნ
დაგი ფუჭდება უმეტეს ნაწილ
კაცისა და ცხოველების განავ
და ნარეცხით. ამიტომ უნდა ვ
ლობდეთ, რომ ზემოდხსენებ
უწმინდურებით არ გაიჟღე
ნიადაგი; ეს უწმინდურება
ცალკე გროვდებოდეს ადგი
ში, რაიც მოშორებული
იყვეს სადგომს, ძალიან
ჩვეულებაა ნარეცხის ან ჭუ
წყლის მიწაზე გადაღვრა. იქვე
გომთან, რაც ძლიერ აფუჭებს
დაგს.

II ნაგავი და განავლები.
ტად მავნებელია მეტადრე
განავალი, რომელიც მაღე
ნება და ჰაერის გაფუჭების მ
მიზეზათ ხდება, ასეთ სიბინძ
თავიდან ასაცილებლად ქალ
ში იხარჯება მილიონობით ფ
მაგრამ სოფლებში სულ სხვ
რადაა საქმე დაყენებული, ნ
ნავათ იქ, სადაც განავალს
ქადი ხმარობენ, მთელი ზამ
გროვდება ბოსლებში, ზაფხუ
ბით კი გააქვთ საყანე ადგი
ში მიწის გასანოყიერებლათ,
დრო, როცა ხალხი ფიქრო
რომ სასუქის სუნი მარგებე
მეტადრე ჭლერქიანებისათვი
ამ მიზნით მიდიოდნენ შვეიც
ში (თითქო ნეხვი სუყველგან
თი არ იყოს) და დიდ სასყი
საც აძლევდნენ ოთახებში,
ლებიც იმყოფებოდნენ ბოსლ
ან საჯინიბოების თავზე. მ
სულელურ აზრს ბოლო მო
მუდამ ნეხვი გამოსადეგია
ლოდ სასუქად და არა სას
ქავად. კაცმა უნდა წმინდ
რი ისუნთქოს და არა დ
ნივთიერება, თუ უნდა რომ
მრთელი იყოს. ამიტომ ყველ
გიანმა პატიოსანმა უნდა
ციოს ყურადღება თავის ბო
და საჯინიბოს აგებულებას
ნახვას. ეს ადგილები ისე
იყვნენ აშენებული, რომ გ
ნილი ნივთიერება მეტადრე
ვისა და ფეხის ალაგისა არ
ჰებდეს ჰაერს იმ ოთახისას,
მელშიაც კაცი ცხოვრობს.
თვის საჭიროა, რომ ბოსლებ
ჯინიბოები და ფეხის ალაგ
გებული იყოს ქვით, აგურ
ხით მაინც, და არა ტიტვ
წაზე. ყველა ბოსელში, ს
ბოში, სანაგვე ორმოში თ
ზარეულოებში დატანებული
იყოს რაც შეიძლება დიდი ტ
ჰაერის გამყვანი მილი. ბო
და საჯინიბოები რაც შე
ხშირად უნდა გაიწმინდოს
რების და კარების ღიღებით
ვი არაფერ შემთხვევაში არ
დარჩეს ბოსელში; ის უნდა
ნილი იქმნას ცალკე სანაგვ
კაცის

---

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 805.

საჭიროა მოიფინოს კირით,
მელიც აქრობს გახრწნილ ნა-
[illegible] და [illegible]; თუ კი-
არ არის ნაცარი მაინც უნდა
ყაროს. ყოველ გზივ უნდა
ილობდეს კაცი, რომ გახრწ-
ომა რამემ არ იპოვოს ადგილი
დაგში ან ჰაერში. ბოსლებში
ონელი ხშირად მუხლამდე ნა-
მია ჩაფლული; ეს ძლიერ მავ-
ელია საქონლისთვის, აგრეთვე
ხისთვის, იმიტომ რომ ისინი
თქავენ გაფუჭებულ ჰაერს.
ოველებისათვის ქვეშ დასაგები
და ყოველთვის ახალი და წმინ-
იყოს, სანაგვე ორმოები უნდა
ნენ მჭიდროდ დახურულნი
სთანა ადგილებში, სადაც მი-
არ ანოყიერებენ, მაგალითად
მხრეთის ქვეყნებში კაცისა და
ოველის განავალი აგრეთვე გა-
დები საშინაო საქმიანობისა
МАШЯГО ХОЗЯЙСТВА). ნარეცხი
შეიძლება ხშირად უნდა მო-
რებულ იქმნას სადგომიდან, ხო
საჯინიბოები, ბოსლები ფე-
ადგილები და სანაგვე ორმოე-
გაწმენდილ იქმნას. ძლიერ მავ-
ელია, სარეცხის გაჩერება საც-
რებელ ოთახში, მეტადრე მთე-
ღამობით. ნარეცხი უნდა გა-
ქციონ ფეხის ალაგში ან ორ-
ებში, კირის ან ნაცრის მოყრა
ერ სასარგებლოა; ასეთი ზომა
ებელ ჰყოფს სადგომ ორმოებს,
იგი, აქრობს გაფუჭებულ ნა-
ოებს.

შ. კ—ძე

(შემდეგი იქნება)

მა პეტრე ხარისჩარაშვილი

ტყვა თქმული 7 ღვინ. 1890 წ. ვინმე
მესხის მიერ*)

.842. რა ეკურთხა ღირსი მამა
სვენებული მღვდლად მაშინვე
წესდა სამრევლო მღვდლად ამა
ლციხის წ.ქ. იოანე ნათლისმცემ-
ს ეკლესიაში შემწედ კავკასიის
რ სომეხთ კათოლიკედ მმარ-
ლის არხიმანდრიტ პავლე მო-
ვარის შახყულიანისა. 8 წელს
ლიდა ერსა თავის ჩვეულებრივის
თხილის მღვიმარებითა. შემდ-
მ რომელიმე უსიამოვნო გარე-
ების გამო ბჭობა კამათობისა,*)
ოიცვალა და განწესდა ხიზა-
რას ერთ წელს, შემდგომ
ლეს და მერე მოითხოვა გარ-
იყვანეს ქ. ქუთაისს რომის კას
ლიკეებმან, სადაც საქებურად
რულებდა თავის [illegible]
ნამდებობასა ოთხიოდე წელს,
1856 გამგზავრდა ახალციხ[illegible]
რეთ და დაშთა მუნ დღემდის,
სითგანაც აგერ ესრეთი დიდათ სასიქადულო კეთილ-შედეგნი შეგვძლენა ჩვენ მისმა 34 წლის კეთილ-მოღვაწეობით მეცადინეობამან! საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

ბოლო წლებში მეტის მეტი ფიზიკურის და გონებრივის შრომა მოღვაწეობისაგან 9 წლის წინედ, დასნეულდა წვეთითა რა, მიეცა დიდს მწუხარებაში უმოძრაობის გამო; მაინც კიდევ არ ავიწყდებოდა თავის ტკბილი სამშობლო, მამულის ზრუნვა, რაც კი შეეძლო. კიდევ მოღვაწეობდა პირად სიტყვითა და დარიგებითა თავის მორჩილთა! გავლილ კვირას 28 ენკენისა რა მიაღწია უკანასკნელ დღეს, მოილხინა მოხარულმან რიგ გარეთ, როგორც წესია მოსაკვდავთა და დააჩნდა მამობრივი ტკბილი ღმობიერება! ესრედი ღვთის მიერი გვაროვნული კაცთ-მოყვარეობის გრძნობით სავსე კეთილი მამა ბოლო წამს სიკვდილისა და სიცოცხლის შუა მდგარი, რა ეჰვი რიგ გარედს სიყვარულს გამოიჩენს სულიერს მამებს, ძმებს და შვილებზედა! თუ იესო მაცხოვარმან ჩვენმანც თავის ვნების წინა-დღეს მეტად შეიყვარა თავის მოციქულნი და მოწაფენი, როგორც სწერს იოანე მახარებელი სახარებაში და ამბობს: „შეიყვარა თვისნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყვარა იგინიო.“ იეს, რასაკვირველია ჩვენს ღირსს მამასაც შეუყვარდებოდა მეტად, არა მარტო თავისთან მყოფნი მამანი, ძმანი და დანი, არამედ თავის ყოველნი მოგვარენი, თვისნი და ტომნი. მეტადრე თავის სამშობლო აკვაადნი, ეკლესიანი და თავის ერ ყოფილნი მოწმუნენი მათის ჩამომავალ მოდგმითურთ წარმოიდგენდა დიდის ნატვრა სურვილითა და უკურთხევდა ღვთიულის კურთხევითა!

მართლად ჯერ თურმე თავისთან მყოფთ მგლოვარეთ ნუგეშსცა ღვთის მადლითა და შემდგომ გარდაავლო ტკბილად თვალი თავის ერთგულ მორჩილთ მამათა, ძმათა და დათა მოაგონა თავიანთ წ.ქ. აღთქმა, უანდერძა წმინდა სიყვარული, მშვიდობა და ერთობა ყოველს კეთილს საქმეში, რათა სულით, გულით, თავგანწირულად ემსახურათ ღვთის დიდებისათვის და ეზრუნათ ყოველი ღონე საშუალებით გვარის განათლებაზედა წერილობით თუ საქმითა, შემდგომ ილოცა ჩვენი სამესხე საქართველო დღე-კეთილობისათვის, მოიხსენია თავის ყოველნი ნათესავნი, მეზობელნი, მოყვარენი, მტერნი, მცნობნი, უცნობნი მოკეთენი, კეთილნი, სნეულნი, ტყვენი, მგზავრნი კარგ-კაცნი თუ ავ-კაცნი, ისურვა ყველასათვის ღვთის მადლი და მოწყალება და ცოდვილთ მონანულობა და მიქცევა მიანდო ღვთის უზომო კაცთ-მოყვარეობითს დიდ მოწყალებასა, მიიღო დიდის მხურვალებით ბოლო წმ. საიდუმლონი, ემთხვია თვალ ცრემლიანი ჯვარცმასა, აქო ადიდა ღმერთი თავის და მინიჭებულის ყოველი მადლებისათვის, ემადლა ღვთისმშობელს ქალწულს მარიამსა, რომლის მფარველობით ეცოცხლა მუდამ ამ ქვეყანაზედა, ემადლა აგრეთვე თავის მეორე თანამოსახლე წმიდასა, რომელიც ჰყავდა თავის მეოხედ. მას უკან ემადლოპა თავის მფარველ ანგელოზსა, რომ ეწინამძღვრა მისთვის ყოველსა კეთილს საქმეში, დაეცვა და დაეფარა ყოვლის განსაცდელისაგან და სთხოვა აგრეთვე სიკვდილის წამს შესაფერი შემწეობა, რათა ღირსი გამხდარიყოს ზეცას სასურველისა, სულ ბოლოს აკურთხა ყოველნი სამღვდელო კურთხევითა და ესრედ ყოვლის მხრით სინიდისის განწმენდილმან მიიძინა ღვთის მადლში! უფალმან საუკუნო განსვენება მიანიჭოს და სამარადისო ნათლითა განანათლოს ზეცას სასუფეველსა შინა იგი რათა იყოს მეოხე ჩვენი ამინ.

მისი ნამოწაფარი უღრმესი მონა ვინმე
მესხი.

თეატრის მატიანე

დ. ხიდისთავი (გურია) ქართული წარმოდგენა. 21 აპრილს ადგილობრივმა სცენის მოყვარე ახალგაზდობამ დადგა ჩვენს დაბაში „თამარ-ბატონიშვილი“ კ. მესხის მიერ გადმოკეთებული ისტორიული დრამა. წარმოდგენამ საკმაოდ კარგად ჩაიარა. კარგი იყო თავის როლში ქ-ნი კალანდაძე (ელისაბედ და თამარ). სწორედ გრძნობიერად შეასრულა ამ ახალ-გაზრდა სცენის მოყვარე ქალმა ის ადგილი, სადაც თამარ და შალვა ერთმანეთს პირველად შეგხვდებიან სასახლეში. კარგი იყო აგრეთვე შალვა (პ. კალანდაძე); კარგი იყო ელიზბარიც (ელენტი), მხოლოდ უკანასკნელს მოქმედებაში მას მოხუცის ხმა ახალგაზრდის ხმად ეცვლებოდა. არა უშავდა-რა რუსუდანს და მეფესაც. დანარჩენი მოთამაშენიც უწყობდნენ ხელს. წარმოდგენამ დააკმაყოფილა უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა, მაგრამ ეგრედ წოდებულნი „ერმილისტები“ („ღომისკარელი“ გამიწყრეს, თუ ვიცოდე—როგორ ან საიდგან წარმოსდგა ეგ სახლი) მაინც თავისას გაიძახოდნენ.

„პარტიობა“ მეგობრებო, ჩვენს კურთხეულს გურიაში, სადაც ცხოვრება ღუღს და გადადუღს, სადაც ბრძოლა ურთი ერთის და-ჩაგვრისათვის (მაგალითად აკეთა და მეორე სოფელიც, რომელიც ა—თვე იწყება) გამწვავებულია, ახალ მოვლენად ვერ ჩაითვლება, მაგრამ სცენას თუ რაიმე ჰქონდა „საპარტიო“—ეგ კი სწორედ ვერ წარმოგვედგინა, მით უმეტეს, რომ ამ „პარტიაში“ რობესპიერობას ისეთი პირი, რომელსაც ლამპარი ალუპყრია ხელსა შინა თვისსა და ანათებას (!) იმ დიდებულს გზას, რომელსაც „ახალი თაობის აღზრდა“ ეწოდება. ჯან მეგობრებო! „მახათი ტომარაში არ დაიმალებაო“ და სწორედ ასრეც მოხდა. შავ-წვერა კაცი ბრძანებლობას, მისი სიტყვა კანონია, მაგრამ დღეს წაუხდა მას „დავერია“ და დაიღუპა კაკალი კაცი! შუა წარმოდგენაზედ ადგა ეგ მეორე ბანაკის „სათაყვანო არსება“ და გამოაცხადა“ რადგან არაფერი ყოფილა, იმედია შინ წამობრძანდებითო!“ მას ეგონა, თუ მთელი საზოგადოება დაედევნებოდა უკან, მაგრამ აქ სხვა-გვარად დატრიალდა ჩარხი, და ჩარხს ხომ მახვილი კბილებიც აქვს. ადგილიდგან ერთიც კი არ დაძრულა. იმედია წარმოდგენის მოთავენი ანგარიშს გვაჩვენებენ.

თქვენი უმორჩილესი მო—ნა.

ყურმოკრული საუბარი

საბუთათ პასუხი

— თქვენ ის ბრალი გედებათ, რომ დღისით, გესმით, შუადღე ქურდობა ჩაგიდენიათ. რას იტყვით თქვენდა გასამართლებლად.

— იმას ვიტყვი, ჩემო ბატონო, რომ იძულებული ვიყავ ეგ საქმე შუადღისას ჩამედინა, საღამოსთვის გადადება არ შეიძლებოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ღამე სხვა, უმეთესი საქურდალი მეგულებოდა.

სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯანმრთელობა

კზ. სიმართლისათვის. ჯ შენ, რომლისათვის საამო არს ერთი ოდენ ჭეშმარიტება და რომლისაცა გული ტყვე არს სიმართლისა, იყავ მინდობილ მასა და ნუ გარდახვალ მისგან, რადგან, შეურყეველი კეთილმოქმედობა შენი დაგაგვირგვინებს შენ დიდებითა.

წრფელი კაცის ენას ძირი აქვს გულსა შინა, მლიქვნელობა და მოტყუება მოხსზობილია ბაგეთა და გულისა მისისაგან.

იგი გაწითლდების და შეშთდების, როდესაც ხედავს თვალითა თვისითა მზაკვრებას...

იგი დაიცავს თანამდებობასა თვისსა

---

*) რომლის მიზეზი იყო ალექსანდრე-
ოლის სომ. კათ. ეკკლესიის მღ. ალ-
ფრე არარატიანი.

) იხ. «ცნ. ფურც.» № 805.

თარცა ჭეშმარიტი მამაკაცი და შერაცხს შეუგვანად პირმოთნეობით დამდაბლებასა.

კაცი მტკიცე არაოდეს განდრეკს სიმართლესა, სრულ არს იგი სიმხნითა და სახისაგან სიცრუისა ივლტის. უგულებელს ჰყოფს შეუგვანსა. სიტყვანი მისნი არიან სიტყვანი გულისანი.. პირს გახლეჩს სიფრხილით გონიერად და თავაზით უბნობს.

იგი იძლევა მეგობრულს რჩევასა და სხვათა აგს რჩევას განმართავს რიგიანად თვისს აღთქმას უცვალებლად აღასრულებს·

პირის პირ იმასა პირმოთნეობა დაფარულ არს· პირმოთნეეცდების თვისს სიტყვას მისცეს სახე სიმართლისა და ჰფიქრობს როგორ მოიხმაროს სიცოცხლე თვისი მოსაცრუებლად სხვათა

იგი იცინის მწუხარებითა და ტირის სიხარულითა. ორად გასახინჯი სიტყვა მისი არა შესაძლებელ არს თარგმნად და არცა მიხდომად.

იგი მსგავს არს ბუისა: მოქმედებს სიბნელესა შინა დ ეძიებს იყოს უშიშრად გარნა აღრე თუ გვიან მოასწრობს მას განთიადი. რომელიცა გამოაცხადებს მას და ქვეყანას დაანახვებს ჭეშმარიტის სახითა

დღეთა თვისთა ნიადაგ განატარებს იგი შიშსა შინა. ენა და გული მისი არაოდეს არიან თანახმა ურთიერთისა.

იგი ეძიებს შესვაროს მართალი კაცის კეთილი სახელი და დააკმაყოფილოს მზაკვარება თვისისა ბოროტის სულისა.

ჰ. უგუნურო კაცო! ყოველი შრომა შენი ჰფარავს შენსა ნამდვილსა ქცევასა. უკეთუსი იქნებოდა გულსავსებელი ყოფილიყავ. ძენი სიბრძნისანი იცინიან შენთა ხერხთა ზედა. თუმცა საგანგებო სახესაც იკეთებ, გარნა ყველანი გიცნობენ შენ და შეურაცხჰყოფენ და სასაცილოდ გიგდებენ.

(შემდეგი იქნება)

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

24 აპრილი

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, ფრეისინემ გამოუცხადა დიუპუის, რომ იმ ამბის შემდეგ, რაც პარლამენტის გუშინდელს კრებაზედ მოხდა, იძულებული ვარ სამსახურს თავი გავანებოო. დიუპუიმ სთხოვა ფრეისინეს, სამსახურს თავს ნუ გაანებებო. ფრეისინემ მაინც წერილით აცნობა, რომ თუმცა ვწუხვარ, მაგრამ მაინც უნდა გავანებო სამსახურს თავი, რადგანაც წარსულმა კრებამ დიდი გავლენა იქონია ჩემზედაო.

სამუშაოთა მინისტრი კრანცი დანიშნულ იქმნა სამხედრო მინისტრად, ხოლო სენატორი მენესტიე—სამუშაოთა მინისტრად.

მადრიდი. რადგანაც აგვინალდომ ესპანელებთან ტყვეების შესახებ მოლაპარაკებაზედ უარი განაცხადა, მთავრობამ მიჰმართა საფრანგეთს და სთხოვა, მიანდოთ კამბონს მოლაპარაკება დაიწყოს ტყვეების განთავისუფლების შესახებაო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ მთავრობას აზრადა აქვს შემდეგაც ყოველი ღონე იღონოს ინგლისის ვაჭრობის გასაძლიერებლად რუსეთშიო.

26 აპრილი

მოსკოვი. ცნობილის მილიონერის ფირსანოვის ცოლმა, განიძრახა რა თავისი ქმრის მოკვლა, სამჯერ ესროლა რევოლვერი. ერთი ტყვია ფერდში მოარტყა, და ორი გულში. დაქრილს ორი ტყვია ამოუღეს, მესამეკი, რომელიც ფერდში მოხვდა, ვერ იპოვნეს. ფირსანოვისა დაიმალა.

ურალსკი. ტეხნიკოსს ბოროლინს გამოუგონია საშუალება ზუთხის ხიზილალისაგან თევზი ზუთხის გამრავლება. ეს საშუალება უცდიათ.

პარიზი. გაზეთი „მატინ“-ი სწერს, რომ ესტერგაზი განმეორებით ამბობს, რომ დიუპუიმ და ფრეისინემ ლაგერერი გამომიგზავნეს მოციქულად ფული შემაძლიესო.

საფრანგეთის არტილერია გერმანეთისაზე უფრო სუსტიაო, ამბობს „ეხო დე პარისი“ და ამიტომ პალატა მოვალეა, რომ ახალი თანხები გაუჩინოს სამხედრო ხარჯისათვისაო.

ბერლინი. ჩერნოგორიის მემკვიდრე ახლად დანიშნული ჰერცოგის მეკლენბურგ სტრელიცკის ასული იუტია მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას მიიღებს ბერლინში, ხოლო ჯვარისწერა დანიშნულია ცეტინიეშიო.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრი, გზათა მინისტრად ყოფილი, პოსიეტი გარდაიცვალა.

პარიზი. ნაციონალისტმა ვერიმ მოისურვა დაკითხებოდა მთავრობას ფრეისინეს სამსახურიდგან გადადგომის თაობაზე. მთავრობამ თანხმობა განაცხადა. ვერი ეკითხება—ფრეისინესაგან სამსახურის თავის დანებება იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ ვერ შესძლო დაეფარა ჯარების უფროსებიო. მერე ეკითხება საზოგადო საქმეთა სამინისტროს, რად ჩაბარდა ისეთ სენატორს, რომელიც წინააღმდეგი იყო დრეიფუსის საქმისგან ხილვისაო (მოძრაობაა) დიუპუიმ უპასუხა: ფრეისანემ დამავალა გამოვაცხადო, რომ სამსახურის თავის დანებება მხოლოდ იმით ლა არის გამოწვეული, რაიც უკვე ვაუწყე მინისტრთა თავსმჯდომარესო. დიუპუი ამტკიცებს, რომ მინისტრთა შორის არავითარი უთანხმოება არ იყოვო. მენესტიე დაინიშნა საზოგადო საქმეთა მინისტრად იმიტომ, რომ იგი მცოდნეა საქმისაო. (ტაშის ცემაა) ტრიბუნაზე ნაციონალისტი ლაზი, იგი ეკითხება, ხომ რაიმე უთანხმოება არ მომხდარა ფრეისინესა და დელკასეს შორისო. პალეოლოგის საქმის გამოისობითო იქნება ურთიერთისათვის მეტად ცხარე და სასტიკი წერილები მიუწერიათო! (ხმაურობაა) დიუპუი ამბობს, რომ ეს ყოველივე ტყუილიაო. ლაზი განაგრძობს, დელკასეს ლოყები აღარ წითლდებიან სილებისაგანო. (საშინელი ხმაურობაა ლაზის სიტყვა ჩამორთმეული აქვს) კამათობა გათავდა. მთავრობამ მიიღო უბრალო გადასვლ
მორიგ საქმეებზე, რაიც მიღ
ბულ იქმნა პალატისაგან 444 ხმ
უმეტესობით წინააღმდეგ 17-ის
ვერის შეკითხვის გათავების შ
დეგ დარბაზში შემოვიდა დელკ
სე მარცხენა მხარე ტაშის კვრი
დაუხვდა. დელკასე ამბობს, რ
დროზე შემოვსულიყავ პასუხს ვე
ყოდიო; პალატა თითქმის ერთხმ
ტაშს უკრავს, დელკასე ამბო
რომ რაც მთავარ მინისტ
სთქვა, ყოველივე მართალია
არავის არა აქვს ნება სხვა რ
ითქვასო (ტაშის კვრაა) დელკ
ამბობს, რომ მას უნდა სრუ
უარი განეცხადებინა თავმოყ
რეობაზე და მარტო მამულის
სიყვარულმა მაკისრებინა საგარ
საქმეთა მინისტრის თანამდებობ
კისრებაო, იმ დროს როცა ი
მე ჩავაბარეო. მე მგონია, რ
მამულს კარგად ვემსახურეო (ტაშ
კვრაა).

ვ. ზუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში

ამ ცოტა ხანში გაიხსნება

ჩინეთის მაღაზი

ვინც ჩაის იყიდის იმას ნობათად მიეცემა რაიმე ნივთი. ვ
იყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან.
საჩუქრად მიეცემა ჩაის ყოველივე მოწყობილობა. (100—16)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной** итальянской по разнымъ отраслямъ торговой
мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учеб**
аведеніи

Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2
часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣся

За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальст

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая арие
тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счета
2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5)
говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52
дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ**
мвтора: Михайловская ул., № 71. (100—13

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Апрѣля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) ვ. ბვ